ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

28 თებერვალი - 12 მარტი 2014 წელი №4 № 8062 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

“სოფლის მხარდაჭერის” პროგრამა გრძელდება

გვ2.

კასპის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება დაიწყო

გვ2.

გენერალი 2014

გვ5.

ქალბატონ მიიჩნევ ლაძრევზე ...

გვ7.

მაღლიდის საეზოში

გვ5.

ლოთობისაგან, მეფუტფუტეობა-უბედურები

გვ3.



დანაგვიანებულ ქალაქში ცხოვრება ვის ხურს?

გვ4.

გაზაფხულზე შენთან მოსვლას დავაპირებ

გვ5.

სამშობლოს ერთგულებით

გვ3.

რაიონის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში

გვ4.

80 წელია ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარჯს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს...

ახალი განთიადი 80 წელი თქვენც გვერდით!

გამოიწერეთ „**ახალი განთიადი**„!

კასპის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება დაიწყო

საქართველოს მთავრობამ დაპირებისამებრ დაიწყო საგაზაფხულო პროგრამის, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის განხორციელება.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ბარათები ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს გადაეცათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს შეხვდა და ბარათების დანიშნულების და მოსახლეობაზე გაცემის წესის შესახებ ესაუბრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური ურთიერთობისა და კოოპერირების სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით ცაგურიშვილი.

პროექტის ფარგლებში გლეხები და ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტიურ მფლობელობაში აქვთ 1,25 ჰექტრის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო ბარათს. გლეხები და ფერმერები მიიღებენ 2 ტიპის ბარათს: "ხვნის ბარათს" და "აგრო ბარათს".

"ხვნის ბარათი" - გამოიყენება ერთწლიანი კულტურებისათვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხვნის სამუშაოების მისაღებად.

"აგრო ბარათზე" - დაირიცხება პროექტის ფარგლებში მოსარგებლისათვის განკუთვნილი სარგებლის ღირებულების შესაბამისი ქულები (1 ლარი უდრის 1 ქულას). აგრო ბარათზე დარიცხული ქულების მეშვეობით მოსარგებლეს შეეძლება მომწოდებლისაგან შეიძინოს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი (სასუქი, სათესლე მასალა და მცენარეთა მოვლის საშუალებები).

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ "აგრო ბარათი"-თ მოსარგებლეთა სიები გადასცა "ლიბერთი ბანკს". აღნიშნული სიებით მოხდება ფერმერთა იდენტიფიცირება მისი პირადი ნომრის მიხედვით, რის შემდეგაც ფერმერზე გაიცემა "აგრო ბარათი."

დამატებითი ინფორმაციის მოპოვება "აგრო ბარათი"-ს აღებასა და მის გამოყენებასთან დაკავშირებით შესაძლებელია "ლიბერთი ბანკის" ფილიალებში, სოფლის რწმუნებულებთან და სააგენტოს ცხელ ხაზზე (032)247 01 01. სასოფლო-სამეურნეო ბარათით ხვნის სამუშაოების მიღება შესაძლებელია 2014 წლის 1 სექტემბრამდე. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დალი დავითაშვილი.

გასულ წელს მოსახლეობაზე გაცემულმა სასოფლო-სამეურნეო ბარათმა გლეხს მიწის დამუშავების და მოსავლის მიღების საშუალება მისცა. მისასალმებელია, რომ მთავრობა კვლავაც ზრუნავს მოსახლეობაზე და პროექტი წელსაც განმეორდა - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

,,ვხვლი გვნთიალი,, იძიებს ხვინტერესო ხუთრვიებს ჩვიონის ხვგვზეთი ოთოლ-ბალიანის შეხვემნელოვლ. თხოვნით მიეშვრთვეთ თანვრვიონელოებს - ლაფოვეთ თეკენი ყვლი ჩვენს ბალიანეში! გვმოგვიგზავნეთ ხვინტერესო ლა თოლოები!

"სოფლის მხარდაჭერის" პროგრამა გრძელდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, წლებია ქვეყანაში "სოფლის მხარდაჭერის" პროგრამა წარმატებით ხორციელდება. აღნიშნული პროგრამით, კასპის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სასმელი და სარწყავი წყლის, საბავშვო ბაღების, სკვერების, ხიდების, მისასვლელი და შიდა სასოფლო გზების, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია-მშენებლობა, რამაც სოფლად არსებული პრობლემების რაოდენობა შეამცირა.

2014 წლისათვის საქართველოს ბიუჯეტიდან, კვლავ გამოიყო ფინანსები სოფლის მხარადჭერის პროგრამის განხორციელებისათვის.

18 თებერვალს, მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს შეხვდა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს

თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონალური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კონსტანტინე ხმალაძე.

კონსტანტინე ხმალაძემ ისაუბრა "სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის მიზნობრიობაზე, პროგრამა მოსახლეობის საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა განხორციელდეს, რომ სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები, გააქტიურდეს მოსახლეობის ჩართულობა, მონიტორინგი, რაც პროგრამის ეფექტიანობის გარანტია.

მიმდინარე წელს პრიორიტეტი ენიჭება სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებას - მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას. ასევე სარწყავი და სანიაღვრე არხების, გარეგანათების, შემოღობვითი სამუშაოების, საბავშვო ბაღების (ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთობლიობაში), საერთო სარგებლობაში არსებული ობიექტების რეაბილიტაცია-აღჭურვას და სხვა.

ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ასევე ესაუბრნენ: კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ გოგიაშვილი და კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური ინფორმაციის ცენტრის უფროსი ლია ბოჭიტაშვილი.

კონსტანტინე ხმალაძემ შეხვედრაზე დასმულ ყველა კითხვას უპასუხა. **დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.**

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?
გინდათ, გაიგოთ ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გინდათ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?
გამოიწერეთ "ვხვლი გვნთიალი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

მკითხველთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! რედაქცია უზრუნველყოფს გაზეთის მიტანას ხელმომწერთან.

სამშობლოს ერთგულებით

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა გმირული ეპოპეა შარავანდედით მოსავს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას... სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვის სიმბოლო – ქართველი ქალი, 19 წლის მარო მაყაშვილი 1921 წლის საქართველოს ტრაგედიის მსხვერპლია, რომლის სახელსა და გვარს ოქროს ასოებით შემოინახავს ჩვენი ქვეყნის ისტორია...

გმირულად დაღუპული მოხალისე ქალი მარო მაყაშვილი ქართველ იუნკრებს თავგანწირვის არნახულ მაგალითს უჩვენებდა, განსაკუთრებულ ძალასა და ენერგიას მატებდა ბრძოლის ველზე, მის მიერ ფრონტის წინა ხაზიდან გამოგზავნილი დღიურები და ჩანაწერები დღესაც აღაფრთოვანებს, პატრიოტული სულისკვეთებით განაწყობს ყველა თაობის ახალგაზრდებს და არა მხოლოდ მათ...

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა იმპროვიზებული, სანახაობრივი, ლიტერატურული წარმოდგენა, რომელიც 1921 წლის თებერვალში გმირულად დაღუპული მარო მაყაშვილისა და იუნკრების ხსოვნას მიეძღვნა.

– ბუნებრივია, ჩვენს დღევანდელ თეატრალიზებულ სანახაობას, ერთგვარი სადღესასწაულო ელფერიც დაჰკრავს, – განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა ნანა მერებაშვილმა, – მაგრამ ეს გახლავთ სამშობლოსათვის თავგანწირული და გმირულად დაღუპული ადამიანების გახსენება, რომელთა დავიწყება შეუძლებელია, ჩვენი ვალია, თაობებს შევახსენოთ, დეტალურად მოვუთხროთ ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული.

იმპროვიზებულ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის წევრები სალომე ჯაბაური, მარი ბეჟიტაშვილი, მარი აბულაძე, ნათია მაისურაძე, მარი სუხაშვილი, ანი კაპანაძე, ნანა ბურდული, ქეთი ბერიაშვილი, ნია კოშაძე, ხატია სამნიაშვილი, თაკო ბერიძე, ლუკა ნოდარიშვილი, ლიკა გამხიტაშვილი, გიორგი პოლოცკი, ჯორჯი ჯანვერდაშვილი. მოსწავლეებმა მაყურებელს საინტერესოდ წარუდგინეს ამონარიდები მარო მაყაშვილის დღიურებიდან და ფრონტული ჩანაწერებიდან, რომელიც მან მშობლებს გამოუგზავნა ბრძოლის ველიდან. განსაკუთრებით კი, შთამბეჭდავი იყო მოსწავლეების მიერ წაკითხული ლექსები, რომლებიც კოლაუ ნადირაძემ და კოტე მაყაშვილმა მიუძღვნეს მარო მაყაშვილს.

– მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც ასახავს ჩვენი ქვეყნის არცთუ ისე შორეული წარსულის გმირულ ისტორიას მართლაც რომ შთამბეჭდავი იყო, – განაცხადა ღონისძიებაზე სტუმრად მოსულმა კასპის

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, – დიახ, ჩვენმა ხალხმა მრავალი განსაცდელი გადაიტანა, უამრავ შემოტევას გაუძლო და სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში უკან არასოდეს დაუხევია. ეს ყველაფერი ჩვენმა ახალგაზრდობამ, მომავალმა თაობებმა არ უნდა დაივიწყონ, ვალდებული ვართ პატივი მივაგოთ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მამაც ადამიანებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული სანდრო გზირიშვილი, კასპის საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენელი ლელა გიგოლაშვილი. დასასრულს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ნუნუ ყიფიანმა გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებასა და მოსწავლეთა სახლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს კი, რომლებიც მონაწილეობდნენ ღონისძიებაში სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენცია

ღვთისკაცი, მეცნიერი, მოქალაქე

უკიდეგანოა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ერის წინაშე... დიდი მამულიშვილის ნაღვაწის ნებისმიერი სფერო ცალ-ცალკე აღებული საკმარისი იქნებოდა ერთი პიროვნებისათვის, რომ ერის ისტორიაში მამულიშვილთა შორის დარჩენილიყო. მაგრამ, რაც მან ქართულ სიძველეთა გადარჩენისათვის გააკეთა უპირველესი ადგილი უკავია...

– "ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან... ამ საქმეს ვემსახურებოდი სრული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა და იმოდენა ხნის ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმილისა შემიძლია ვთქვა, რომ პირნათლად შევასრულე ჩემი მოვალეობა მშობლიური ერის წინაშე", – ეს სიტყვები დიდ მეცნიერს 82 წლის ასაკში სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქვს ნათქვამი.

ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლსა და დამსახურებაზე, ეროვნული საქმისათვის თავდაუზოგავ მოღვაწეობასა და მის პიროვნებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-დოკუმენტურ ფაქტებზე დაყრდნობით ისაუბრეს კასპის ბიბლიოთეკაში გამართულ თემატურ კონფერენციაზე, რომელიც დიდი მეცნიერის იუბილეს მიეძღვნა.

თემატურ კონფერენციას ესწრებოდნენ კულტურისა და განათლების მუშაკები, მოსწავლეები, ახალგაზრდები...

მოხსენებით "წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი ღვთისკაცი (ბიოგრაფია)", – დამსწრეთა წინაშე წარდგა ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი ეთერ ჩადუნელი. "ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის წინაშე", – ასეთი იყო ბიბლიოთეკის სპეციალისტის მაია ქესაურის მოხსენების თემა. "ექვთიმე თაყაიშვილი ქართული საგანძურის მცველი / 1921-1945 წ.წ. ემიგრაცია/", – ისაუბრა ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ეთერ ნიპარიშვილმა. თემაზე "ექვთიმე თაყაიშვილის სამშობლოში დაბრუნება", – დამსწრეთ მოუთხრო ბიბლიოთეკის სპეციალისტმა მაია

* დასასრული მე-4 გვ.

კიდევ ერთხელ სუფთა გარემოზე

20 თებერვალს, ვინც მეტეხის მიმართულებით მოძრაობდა, შეამჩნევდა შპს "კასპის კეთილმოწყობის" სამუშაო სამოსში გამოწყობილ 19 ადამიანს, რომლებიც სარკინიგზო და საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიას ასუფთავებდნენ.

ჩვენი ვალდებულება ქალაქის ქუჩების დასუფთავებაა, მაგრამ როდესაც ხედავ ქალაქის დანაგვიანებულ გარე პერიმეტრს - გიჩნდება დასუფთავების სურვილი -აღნიშნა შპს "კასპის კეთილმოწყობი"-ს დირექტორმა ელგუჯა გეჯაძემ.

დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა გაიზიარეს ხელმძღვანელის ინიციატივა და მეტეხის კერამიკული ქარხნის მიმდებარე ტერიტორიიდან ე.წ. "კოწახურა"-ს ხიდის ჩათვლით, დასუფთავების აქცია ჩაატარეს. ვაპირებთ კვირაში ერთხელ დავასუფთაოთ ქალაქის დანაგვიანებული გარე პერიმეტრი, რადგან ამ გზებით უამრავი სტუმარიც სარგებლობს.

გაზაფხული მოდის - ნუ შევუწყობთ ხელს ანტისანიტარიის კერის შექმნას.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენცია

ლეთისკაცი, მეფურფლეთუხუცესი

* დასასრული

აბუაშვილმა, ხოლო თემაზე "ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი", ისაუბრა ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ეკა დალაქიშვილმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები მარი ბეჟიტაშვილი, ქეთი წიკლაური, მარი აბულაძე და სხვები.

განხილულ თემებთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვეს: საკრებულოს სპეციალისტმა ხათუ-

ნა პარკაძემ, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგემ ნანა მერებაშვილმა და სხვებმა.

თემატური კონფერენციის მუშაობა დადებითად შეაფასა ბიბლიოთეკის დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ასეთ თემატურ ღონისძიებებს ფართო ხასიათი მიეცემა და ასეთი ხასიათის ღონისძიებებში მეტი მოსწავლე-ახ ალგაზრდობა იქნება ჩართული.

ა(ა)იპ კასპის ბიბლიოთეკა.

რაიონის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში

7 თებერვალს, კასპის საჭიდაო დარბაზში გაიმართა რაიონის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში. ტურნირში მონაწილეობდნენ 1997- 1998 -1999- 2000- 2001 და 2002 წლებში დაბადებული მოჭიდავეები.

ტურნირის მონაწილეები გულმოდგინედ ცდილობდნენ წარმატების მიღწევას. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილზე გავიდნენ: გიორგი რაზმაძე (ოკამი), ვახტანგ გოგიაშვილი (ზემო ხანდაკი), ლუკა ფეიქრიშვილი (აღაიანი), ვალერი მღებრიშვილი (კასპი), აკაკი ცუცუნაშვილი (კასპი), შოთა ფავლენიშვილი (კასპი), ნიკა ბერძენიშვილი (დოესი), რეზო სანიშვილი (აღაიანი), ხვიჩა დავითაშვილი (თელიანი), ნიკა ხუციშვილი (ზემო ხანდაკი), სოსო იორდანიშვილი (კასპი), ვასილ გვიმრაძე (კასპი). როგორც კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გართიანების დირექტორმა შოთა გოგიაშვილმა აღნიშნა, ტურნირის ძირითადი მიზანი ძიუდოს გუნდების მომზადების დონის შემოწმება და რაიონის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება იყო.

ტურნირს მსაჯობდა ლავრენტი კაციაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის მწვრთნელი ჯიმშერ ხორბალაძე.

დანაგვიანებულ ქალაქში ცხოვრება ვის სურს?

2011 წლამდე კასპში თავღია ნაგვის ურნები იდგა, რომელიც სრულად ვერ უზრუნველყოფდა ქალაქის სისუფთავეს. ქარისა და მაწანწალა ცხოველებისაგან - ნარჩენი ქუჩაში და ურნის გარშემო იფანტებოდა, ქუჩები ხელახლა ნაგვიანდებოდა და დამატებით მუშაობას საჭიროებდა. ამავე წელს ქალაქში ახალი, თანამედროვე გალვანიზირებული ფოლადის კონტეინერების დადგმა დაიწყო (58 ცალი), რომელსაც ასევე სპეციფიკური ჩინური ნაგავმზიდი ავტომანქანა დღემდე ემსახურება.

2012 წელს შეძენილი იქნა 120 ცალი გალვანიზირებული ფოლადის კონტეინერი და 210 ცალი პლასტმასის დასაკიდი - მცირე ზომის, მწვანე სანაგვე ურნა, რომელიც ბოძებზე განთავსდა.

2013 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქის დასუფთავების გასაუმჯობესებლად კიდევ 100 ცალი გალვანიზირებული ფოლადის კონტეინერი შეიძინა და უახლოეს პერიოდში 2 სპეციფიკურ, ნაგავმზიდ ავტომანქანას შეიძენს.

იმ დროს, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავს ქუჩების სისუფთავეზე, მოსახლეობის სუფთა გარემოში ცხოვრებასა და გადაადგილებაზე, ზოგიერთი მოქალაქე უფრო მეტად ზრუნავს ქალაქის ქუჩების დანაგვიანებაზე და ნაგვის ურნებზე "შეტევა"-ს ახორციელებს.

უკანასკნელ პერიოდში სისტემატური ხასიათი მიეცა გალვანიზირებული ურნების გადაბრუნებას და მდინარე ლეხურაში ჩაყრას.

უფრო მეტიც, დაიწყო დასაკიდი ურნების ბოძებიდან ჩამოყრა და მტვრევა. ეს ხდება ღამით და დილას.

ქალაქის ქუჩების დასუფთავებისათვის მომსახურე პერსონალს, დამატებითი სამუშაო ხვდება, რომ აღარაფერი ვთქვათ დამტვრეული ურნებით გამოწვეულ მატერიალურ ზარალზე.

ეჭვგარეშეა, დანაგვიანებულ ქალაქში ცხოვრება არავის უნდა, რა ხდება?! აღნიშნულით ალბათ, შესაბამისი სამსახურები დაინტერესდებიან. შედეგებს ჩვენი გაზეთით მოგახსენებთ.

ჯენეთლია 2014

კასპის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. გორის ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის სკოლა-გიმნაზიის მიერ გამართულ მოსწავლეთა ფესტივალში ,,გენეთლია.'' ფესტივალი რვა წელია არსებობს და სულ უფრო ფართოვდება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფესტივალის თხუთმეტი მონაწილიდან ყველა კერძო სასულიერო სასწავლებელი იყო, მხოლოდ ჩვენ ვიყავით საჯარო სკოლა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულები. კასპის მესამე საჯარო სკოლის და ყვარლის წმ. ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზია ვიყავით ამ ღონისძიების ახალბედები.

ფესტივალი ,,გენეთლია'' ტარდება გორის ეპარქიის ეპისკოპოსის მეუფე ანდრიას ლოცვა-კურთხევით. მასში მონაწილეობას იღებენ სასულიერო პირები: ეპისკოპოსები, მღვდლები, დედები. ძალიან სასიამოვნო იყო ჩვენთვის, როცა სამთავისისა და კასპის ეპისკოპოსი მეუფე დამიანე დაესწრო ღონისძიებას, თბილი სიტყვები არ დაიშურა ჩვენთვის და სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ.

ფესტივალი, ტრადიციულად, რამდენიმე ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი კონფერენციას ეთმობა, რომელიც წელს წმ. ექვთიმე ღვთისკაცის, ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს მიეძღვნა. მოხსენება თემაზე: ,,ექვთიმე თაყაიშვილი ემიგრაციაში'' წაიკითხა XI კლასის მოსწავლემ თამარ სეთურიძემ (ხელმძღვანელი ნ. იაშვილი). შესვენებაზე დავათვალიერეთ განახლებული ციხის უბანი, ვეწვიეთ გორის კათედრალურ ტაძარს.

ფესტივალის ერთ-ერთი თემა მოსწავლეთა თვითნაკეთი ნამუშევრების გამოფენა იყო. ჩვენი სკოლა XI კლასის მოსწავლე მაია ქენქაძის ნაქარგებით წარდგა. კონფერენციის პარალელურად იმართება ხატვის კონკურსი. წელს მონაწილეებს დასახატად ე. თაყაიშვილის გადარჩენილი განძის ერთ-ერთი ექსპონატის, ახალგორში ნაპოვნი თასის დახატვა დაევალათ. ჩვენი სკოლის VII კლასის მოსწავლემ გვანცა ხიზაძემ ღირსეული მეტოქეობა გაუწია (ასაკით უფროს) კონკურსანტებს და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ფესტივალის კულმინაცია მოსწავლეთა თვითშემოქმედების დათვალიერება იყო, თემა კი - ,,ქრისტეშობა.'' ყველა სკოლამ განსხვავებული კუთხით წარმოადგინა ეს უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული. დიდი მღელვარების მიუხედავად კასპის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეები სათანადოდ წარდგნენ მაყურებლის წინაშე.

ფესტივალის ყველა მონაწილეს საჩუქრად ,,ფსალმუნები'' და ტკბილეული გადაეცა. დასაჩუქრდა ასევე სკოლაც. მოსწავლეებისათვის დაუვიწყარი იქნება ფესტივალის დღეები.

ნანა იაშვილი.

სპორტი

მადრიდის საგზური

ვინც თვალს ადევნებს მეტეხელი დათო გეჯაძის სპორტულ მიღწევებს ნამდვილად არ გაუკვირდებოდა ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე მისი გამარჯვება. საქმე ის გახლავთ, რომ მან ახლაც ღირსეულად იასპარეზა და თავის მეტოქეს დამაჯერებლად მოუგო. ამდენად, პირველ ადგილზე გასულმა დათო გეჯაძემ (56კგ. წონითი კატეგორია) მადრიდის საგზური მოიპოვა.

— აპრილში ესპანეთის დედაქალაქში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკ სამბისტთა შორის, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, — სადაც დათო გეჯაძეც მიიღებს მონაწილეობას, დარწმუნებული ვარ ამჯერადაც გვასახელებს, საამისოდ მას საკმაო გამოცდილება გააჩნია.

აპრილამდე დიდი დრო არ არის დარჩენილი, მეტეხელი ფალავანი ჩვეული მონდომებითა და პასუხისმგებლობით (მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი) ემზადება დიდი ჩემპიონატისათვის.

ეკა რაზმაძე ძიუდოისტია

სავარჯიშოდ მიმავალ უბნის თანატოლ ბიჭუნებს მალულად აედევნებოდა, კართან ატუზული (ეთაკილებოდა შიგნით შესვლა) თვალს არ აცილებდა ძიუდოს "გაკვეთილებს" ... ერთხელაც, ვარჯიშის დასრულების შემდეგ მწვრთნელმა თავისთან იხმო ეკა რაზმაძე და დარცხვენილ, ნირწამხდარ გოგონას სავარჯიშო ლეიბზე ნანახი ილეთების შესრულება დაავალა.

— ეს იყო ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა, — იხსენებს წარსულში ცნობილი ფალავანი ჯემალ ხორბალაძე, — შეიძლება ზოგმა არც კი დაიჯეროს, მაგრამ შემიძლია ცალსახად გითხრათ, რომ რვა წლის ბავშვმა ისეთი სერიოზულობითა და სიზუსტით შეასრულა ძიუდოს რამდენიმე საკმაოდ რთული ილეთი, რომ ხმა ვერ ამოვიღე, რა უნდა მექნა, გოგონას ნება დავრთე ძიუდოზე ევლო.

არც მშობლებს შეუცხადებიათ შვილის გადაწყვეტილება და დღესის საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეს ეკა რაზმაძეს იმ დღიდან მოყოლებული ვარჯიში არ გაუცდენია. უკვე მეორე წელია, რაც ძიუდოს ილეთებს ეუფლება და საკმაოდ წარმატებულად.

შარშან, გორში ჩატარდა ქალაქის პირველობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბიჭები ასპარეზობდნენ და ეკა რაზმაძე სწორედ მათ დაუპირისპირდა, ოღონდ არავინ იცოდა, რომ მოჭიდავეთა შორის დღესელი გოგონა იბრძოდა.

მოგვიანებით ეკა რაზმაძემ თბილისში გამართულ ძიუდოისტთა რესპუბლიკურ ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა და მეორე საპრიზო ადგილს დაეუფლა, მას მცხეთელმა თანატოლმა ბიჭუნამ "აჯობა".

სულ ახლახან კი, კასპში რაიონის პირველობაზე გამართულ შეჯიბრშიც სცადა ბედი და (გამოდიოდნენ 2000-2002 წელს დაბადებული ვაჟები. 23კგ. წონითი კატეგორია) როგორც იტყვიან, ფურორი მოახდინა. მან სამი წლით უფროს ბიჭს მოუგო და ოქროს მედალიც დაიმსახურა.

ვერაფერს იტყვი, გოგონას დაინტერესება და მონდომება სახეზეა, თუმცა, სამომავლო პროგნოზის გაკეთებაც არ არის ადვილი, რადგან წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება ცოტა ხნის შემდეგ. ერთი კი ცხადია, ეკა გატაცებულია სპორტით. სავარაუდოდ, სხვა გოგონებიც აუბამენ მხარს, ხომ იცით, როგორი გადამდებია მაგალითის ძალა. ამასობაში ეკა რაზმაძე დიდი გატაცებით აგრძელებს სპორტულ თავგადასავალს, ვარჯიშს არასოდეს შევწყვეტო, ეს სიტყვები თვითონ თქვა. გარდა ამისა, აქტიურ, ხალისიან გოგონას სკოლაშიც ემადლიერებიან. სასწავლო საგნებიდან ყველაზე მეტად მათემატიკა უყვარს, ქართულსაც კარგად სწავლობს და ბუნებასაც, რაც მთავარია, ვარჯიშს არ აცდენს. იმედიანად ემზადება მომავალი ტურნირისათვის.

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

გაზაფხულზე შენთან მოსვლას დავაპირებ

"alter ego"-ს ძაძიეზღვნთოსთვის

სიყვარული ხშირად მოულოდნელად გვსტუმრობს და თავისი სიურპრიზებით ყველაზე პრაგმატულად განწყობილ ადამიანებსაც ჯი აოცებს. ლეგენდებისა და მითების რომანტიკული ბურუსი, რომელიც გარს ერტყმის ამ გრძნობას, არასოდეს იფანტება.

შეყვარებულ ადამიანებს შორის საიდუმლო არ უნდა არსებობდეს, არადა, როგორც ამბობენ ზოგჯერ გულახდილობას საკმაოდ სავალალო შედეგები მოაქვს. მაინცდამაინც ნუ დაიჯერებთ თქვენთვის საყვარელი ადამიანის სიტყვებს, თითქოს მისთვის მწარე სიმართლე უფრო კარგია, ვიდრე ტკბილი ტყუილი. ერთმა გაუფრთხილებელმა სიტყვამ შეიძლება ყველაზე მტკიცე კავშირიც კი დაარღვიოს, რომ აღარაფერი ვთქვათ დაუფიქრებელ მოქმედებებზე. იფიქრეთ, ღირს კი გაიფუჭოთ ურთიერთობები იმ ძველი სიმართლის აღიარებით, რომელმაც აქტუალურობა დაკარგა? ქალების უმრავლესობა საკმაოდ მშვიდად ხვდება პარტნიორის წარსულ "გმირობებს", ისინი კი, პირიქით, ძალიან ეჭვიანად რეაგირებენ ამაზე. წარსულისგან თავს ვერ დააღწევთ და არც არის საჭირო — გამოცდილება ზედმეტი არავისთვის არ არის. ღირს კი თქვენს ახლანდელ რომეოს საკუთარი წარსული გააცნოთ? ერთია, თუ თქვენი გულახდილობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის, მაგრამ სულ სხვა საქმეა, თუ ეს მხოლოდ წუთიერი განხეთქილებაა ან ცხოვრებისეული ჭირვეულობა, რომელიც ავისმომასწავებელ ეჭვს აღძრავს.

სიყვარულს შეუძლია მამაკაცი . . . . . თუ თქვენი რჩეული ოცნების მამაკაცი არ არის, იმედი ნუ გექნებათ, რომ ის ასეთად აუცილებლად იქცევა. ფსიქოლოგების მტკიცებით, მამაკაცის ძირითადი თვისებების ფორმულირება თხუთმეტი წლის

* გაგრძელება მე-6 გვ.

გამოიწერეთ "ახალი ჯვნთიალი" და ახლით ჩვენი მკითხველი!

* დასასრული

ასაკში სრულდება. არაფერია იმაზე უფრო დამთრგუნველი და გამანადგურებელი, ვიდრე საკუთარ იდეალზე “გამოკიდება“ და ბედის მიერ გამოგზავნილი რეალური ადამიანის შეუმჩნევლობა. თუ ადამიანი მართლა გიყვართ, თქვენი გრძნობები არ შეიცვლება იმ მცირეოდენი კორექტივებით, რომელიც მის გარეგნობასა თუ ხასიათში შეიძლება შეიტანოთ. ის მეტამორფოზები, რომლებიც ცხოვრებისეული გარემოებების ზემოქმედების შედეგად ხდება, გვეხმარება, არ გავიყინოთ ერთ ადგილას და ურთიერთობები განვავითაროთ. გამყინვარებაზე ცუდი არაფერია. დანარჩენ სფეროებში ყოველთვის შეიძლება იპოვო გამოსავალი.

ექსპერიმენტის სახით ქაღალდზე ჩამოწერეთ ის ათი ძირითადი თვისება, რომელიც თქვენი აზრით, ჭეშმარიტ მამაკაცს უნდა გააჩნდეს. შეგიძლიათ დააფიქსიროთ ყველაფერი, მატერიალური კეთილდღეობით დაწყებული კულინარიული ტალანტით დამთავრებული. ახლა კი, გაარკვიეთ, ამ თვისებებიდან რომელი ახასიათებს თქვენს რჩეულს. კარგია, თუ ის ექვს ქულას მაინც დააგროვებს; მაგრამ, თუ ასე არ მოხდა, ნუ შეშფოთდებით, იმაზე იფიქრეთ, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ნაკლოვანებები.

”ნუ წახვალ, დარჩი ჩემთან“, – ასეთი თხოვნა მხოლოდ წიგნებში შეიძლება ამოიკითხოთ. ყველაზე მყარი წყვილიც კი ორი სრულიად დამოუკიდებელი პიროვნების ერთობლიობაა. თქვენმა მსხვერპლშეწირვამ და იმის სურვილმა, რომ საკუთარი თავი მას აჩუქოთ, შეიძლება სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიწვიოს.

თითოეულ თქვენგანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი ცხოვრება, რომელიც “მეს“ შენარჩუნებაში დაეხმარება. თქვენი სურვილებისა და გრძნობების შენარჩუნებით, თქვენსავე სიყვარულს უფრთხილდებით.

ნუ დაკარგავთ საკუთარ ინდივიდუალურობას; აკეთეთ ის, რაც მოგწონთ და გიყვართ. გამორიცხული არ არის, თავიდან ასეთი სუვერენიტეტის მოპოვება გაგიჭირდეთ, რადგან თქვენი მეორე ნახევრისგან “გამოსვლა“ არცთუ ისე ადვილია, მაგრამ რა შეედრება შემდგომი შეხვედრის ამაღელვებელ მოლოდინს?

“შეყვარებულები გამუდმებით ინტიმურ სიახლოვეზე ფიქრობენ” - ეს სულაც არ შეეფერება სიმართლეს. ამ მხრივ “ჩავარდნები“, თუ გნებავთ, “შესვენებები“ ყველაზე ვნებიან წყვილებსაც კი აქვთ. ნებისმიერი ურთიერთობა განვითარების რამდენიმე ეტაპს გადის. თავიდან ის შეიძლება მართლაც მხოლოდ ინტიმური ურთიერთობებისგან შედგებოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება სულ სხვა ცხოვრებისეულმა მოთხოვნილებამ შეცვალოს. შეყვარებულებისთვის ამგვარი პაუზები აუცილებელიც კია, რადგან ერთმანეთისკენ ლტოლვას აძლიერებს. რაც უფრო კარგად შეიცნობთ ერთმანეთს, მით მეტი შანსი გექნებათ, ყოფითი წვრილმანებისგანაც კი დიდი სიამოვნება მიიღოთ. ზოგჯერ ერთად გასეირნება ან მაღაზიაში საყიდლებზე წასვლა საუკეთესო პრელუდიაა სექსუალური სიახლოვისთვის. ერთობლივი საქმიანობები, მოგზაურობები ან უბრალო საუბრები თქვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს.

ამბობენ - ის, ვინც ნამდვილად შეყვარებულია, სხვას არასოდეს შეხედავს. თქვენ ძალიან გიყვართ ერთმანეთი, მაგრამ ეს ვერ დაგიცავთ წუთიერი ცდუნებებისგან. ბედისწერა ყოველდღე პატარ-პატარა “საფრთხეებს“ გთავაზობთ. თუნდაც, შეხვედრებს საინტერესო და მომხიბვლელ ადამიანებთან. საქმე იმაშია, რომ ამით უკიდურესობაში არ უნდა ჩავარდეთ. უწყინარი გატაცებები მხოლოდ აღვივებენ ვნებებს და სიყვარულს აძლიერებენ. ცოცხალი ადამიანი, რომელსაც სისხლი უჩქეფს, არ შეიძლება არ ააღელვოს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელმა. ეს ინტერესი სრულიად ბუნებრივია და ის არავითარ განსჯას არ იმსახურებს.

სიურპრიზები, განსაკუთრებით, სასიამოვნო სიურპრიზები, ყოველთვის გილამაზებთ ცხოვრებას. ამაში სადაო არაფერია; მაგრამ უკვე ჩამოყალიბებულ ურთიერთობებსაც აქვს თავისი განუმეორებელი ხიბლი. იმის გაცნობიერება, რომ თავიდან ბოლომდე ხუთი თითივით იცნობთ თქვენს მეორე ნახევარს, იცით მისი თვისებები, გატაცებები, მისწრაფებები, ძალიან გამშვიდებთ, გიქმნით სიახლოვის უდიდეს სურვილს და საოცარ სულიერ სიმხნევეს განიჭებთ. მართლაც სასიამოვნოა იმ მყუდრო სავანეში მოსვენება, რომელიც მხოლოდ თქვენთვის – ორისთვის არის განკუთვნილი და ერთ მთლიანობად გაქცევთ. არ ღირს სიახლის ძიება. უმჯობესია, საერთო თვისებების კულტივირება. სწორედ ეს პატარა ოჯახური ტრადიციები წარმოადგენს ორი ადამიანის ერთად ცხოვრების არსს.

ნამდვილი შეყვარებულები არასოდეს კამათობენ, არამედ ჩხუბობენ წესების დაცვის გარეშე. კამათი, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ გარკვეული საზღვრების ფარგლებში. არასოდეს გასცდეთ პრობლემის ჩარჩოებს, ურთიერთობის გარკვევისას აუცილებელი არ არის საჯაროზე გამოიტანოთ მივიწყებული ისტორიები, რათა ნებისმიერი ხერხით შეძლოთ “მოწინააღმდეგის“ დამარცხება.

სიყვარული საუკეთესო წამალია ავადმყოფური პატივმოყვარეობის სამკურნალოდ. ყველაზე რთულ წუთებშიც ჯი იმედი უნდა გქონდეთ, რომ საყვარელი ადამიანი ყველანაირად დაგიჭერთ მხარს. მის მორალურ თანადგომასაც ჯი თქვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მასზე უკეთესად არავინ იცის, რა კომპლიმენტი გაგიხარდებათ ახლა ყველაზე მეტად. იმ ადამიანს, რომელიც გიყვართ, არ უნდა დაუმალოთ თქვენი წყენა და უსიამოვნებები. ის ყოველთვის თქვენს მხარეს იქნება, ეს ჯი დაგეხმარებათ, რომ მძიმე წუთებშიც ჯი ჯარგად იგრძნოთ თავი.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. “ახალი განთიადი” №2

წესები, რომლებიც გარდაუვალ საჭიროებად იქცა

Dress Code

რესპექტაბელურობისაკენ სწრაფვა ადამიანთა ყოფის განუყოფელი ნაწილია. მაღალი საზოგადოების მიღებებსა და საქმიან შეხვედრებზე საჭიროა შესაბამისად ვიქცეოდეთ და გარკვეული წესის მიხედვით გვეცვას, რათა გარშემომყოფთა პატივისცემა დავიმსახუროთ. ადამიანთა ნაწილი ყოველივე ამას სნობიზმად თუ კონსერვატიზმად აღიქვამს, მაგრამ ამ წესების გარეშე დღევანდელ სამყაროში არსებობა თითქმის შეუძლებელია. მოწვევას, რომელსაც შეხვედრების მასპინძლები ან ორგანიზატორები გვიგზავნიან, უმეტესად თან ახლავს მითითება, თუ რა სურვილები აქვთ ან როგორ მოთხოვნებს უყენებენ ისინი სტუმარს ჩაცმულობის კონკრეტული სტილის თაობაზე.

* გაგრძელება

ტანსაცმლის დემოკრატიზაცია ლამის მსოფლიო ტენდენციად იქცეს.

დავუბრუნდეთ ისევ ჩაცმულობის კოდექსსა და ყველაზე საჭირო, გავრცელებულ ნიშნებს.

White Tie ultra-formal(Cravate blanche)

– თეთრი ყელსახვევის სახელით ცნობილი ეს აბრევიატურა გამცნობთ, რომ შეგიძლიათ ჩაიცვათ ყველაზე მისაღები ანუ ძალზე ფორმალური სამოსი, რომელიც ფრიად მაღალი დონის საზეიმო შემთხვევებისთვისაა განკუთვნილი. შესაძლო ღონისძიებათა ნუსხაშია როგორც საღამოს მიღება პრეზიდენტთან, ასევე, ელჩის ქორწილი, მეჯლისი, პრემიის გადაცემა და ა. შ. მამაკაცის ტანსაცმელი ითვალისწინებს ფრაკს თეთრი პეპელა-ჰალსტუხით, ლაკის ფეხსაცმელებს, ჯიბის საათს და თეთრ ჟილეტს. არავითარ შემთხვევაში ასეთ მიღებაზე არ ჩაიცვათ შავი ჟილეტი, თორემ ყველას ოფიციანტი ეგონებით. სასურველია, მაგრამ არა – აუცილებელი, თეთრი ხელთათმანები.

ქალის ტანსაცმელი უნდა მოიცავდეს სრულ საღამოს ტუალეტს: კოჭებზე გრძელი კაბა, ხელთათმანები, ქუსლიანი ფეხსაცმელი და პაწაწინა ჩანთა. დაუშვებელია გაშლილი თმები, ბიჟუტერია და შიშველი ხელები.

Black Tie (Cravate noire)

– თუ ეს სიტყვები, რომელიც შავ ყელსახვევს ნიშნავს, მოსაწვევზე დაგხვდებათ, გახსოვდეთ, რომ მამაკაცმა აუცილებლად სმოკინგი უნდა ჩაიცვას. ქალმა კი, ე. წ. საკოქტეილო ან გრძელი საღამოს კაბა. დასაშვებია ბიჟუტერია და ბეწვის მოსასხამის უქონლობა. ასეთი მოთხოვნებით შესაძლოა საღამოს ოფიციალურ შეხვედრებზე, საშობაო ვახშამზე ან ქორწილში დაგპატიჟონ, ასევე – თეატრალურ პრემიერაზე და ა.შ.

Formal

– ამ პირობითი ნიშნის ქვეშ იგულისხმება საღამოს გამართული ფორმალური ღონისძიებები. ოღონდ ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებია ახლებური, შემოქმედებითი მიდგომა, ზოგადად მოდური შესახედაობა. ამგვარ საზეიმო ვახშამზე, სპექტაკლსა თუ კინოპრემიერაზე შესაძლებელია მამაკაცმა სმოკინგიც ჩაიცვას და მუქი სადღესასწაულო კოსტიუმიც ჰალსტუხის თანხლებით. ქალის ტანსაცმელს კი, ისევ საკოქტეილო ან გრძელი კაბის გარდა ემატება სხვადასხვა ნაწილისაგან შემდგარი, ოდნავ ლიბერალური, საღამოს კომპლექტი.

Black Tie invited

– ამ სტილის ჩაცმულობის მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეთ კორპორატიული ბანკეტის ორგანიზატორებს, მასპინძელს, რომელიც ბევრ სტუმარს ეპატიჟება მოდურ რესტორანში ან ოჯახურ დღესასწაულზე. თუ კოქტეილზე გიწვევენ, იცოდეთ, რომ იგულისხმება არცთუ მთლად საზეიმო საღამო, სასმელებითა და ფურშეტით დამშვენებული. შავი ყელსახვევი მისასალმებელია – ასეთი შინაარსის უკან იმალება თხოვნა, რომ მამაკაცებმა კლასიკური სმოკინგი, ხოლო ქალებმა გრძელი კაბა ან მოხდენილი კოსტიუმი ჩაიცვან.

lack Tie Optional

– სმოკინგი შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ მუქი კოსტიუმითა და ჰალსტუხით; ქალებს კი საკოქტეილო და ტრადიციული საღამოს კაბის გარდა უფლება ეძლევათ თავისუფლად შეხამებული სადღესასწაულო ჩაცმულობა შეარჩიონ. შინაარსი – შავი ყელსახვევი აუცილებელი არ არის.

Creative Black Tie

– ეს აღნიშვნა თქვენს მოსაწვევზე მაშინ გაჩნდება, როცა მასპინძელი შედარებით გახსნილ, ნაკლებად ტრადიციულ საღამოზე გეპატიჟებათ და გარკვეულ თავისუფლებას გიტოვებთ სამოსის არჩევისას. შავი ყელსახვევი – შემოქმედებითი მიდგომა: ამ დროს ჩაიცვით ინტერპრირებული ფორმალური კოსტიუმი. დასაშვებია მოდური სიახლეები, მაგ. განსხვავებული ფერის სმოკინგი არატრადიციული აქსესუარებით, ასევე კლასიკური სმოკინგი უჩვეულო ფერის ჟილეტით, თავისუფალი სმოკინგი მუქი პერანგით, უჰალსტუხოდ. ქალებს უკვე უფლება ეძლევათ ჩაიცვან როგორც გრძელი, ასევე მოკლე კაბა, საღამოს კომპლექტი, მაქმანის ანდა მბრწყინავი ბისერებით დამშვენებული ქვედაკაბა ქიშმირის ზედატანთან ერთად.

Cocktail Attire

გულისხმობს, რომ მამაკაცს უნდა ეცვას მუქი კოსტიუმი, ხოლო ქალს საკოქტეილო კაბა.

Semi-formal

– ეს ძალიან მზაკვრული კოდია, რომელიც თითქოს გარკვეულ თავისუფლებას იძლევა, მაგრამ მაინც მკაცრად ადგენს ჩარჩოებს. შეკრებები ქალებისათვის 18 საათის შემდეგ, საკოქტეილო, არა გრძელი კაბის ჩაცმას გვირჩევენ, დღის ღონისძიებებზე კი მოხდენილი კოსტიუმი ან ასეთივე დღის კაბა. მამაკაცისთვის სმოკინგი აუცილებელი არ არის. მათ საღამოს მუქი, ხოლო დღისით ჩვეულებრივი კოსტიუმი უნდა ჩაიცვან და ჰალსტუხიც გაიკეთონ.

A5 – ეს აღნიშვნა, რაც “ხუთის შემდეგ” ნიშნავს, ხშირად სხვა კოდის დამატებაა, და მიგვითითებს, რომ საღამო, ხუთი საათის შემდეგ დაიწყება. თუ ნიშანი დამოუკიდებელია, მაშინ უბრალოდ კოქტეილზე დაპატიჟებას ნიშნავს, სადაც მამაკაცები იცვამენ არა საქმიან, ნებისმიერი ფერის კოსტიუმს უჰალსტუხოდ, ხოლო ქალები საკოქტეილო კაბას. ღია ტოპსა და ქვედატანს, ან ლამაზ კოსტიუმს (ქვედატანით ან შარვლით).

* გაგრძელება მომდევნო ნომერში.

გვმოიწერეთ
,,ახალი განთიადი,,

დიდმოწამე თეოდორე ჭირონის ხსენება

დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს

კონსტანტინე დიდის ძის, კონსტანციუსის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა იულიანე განდგომილი, რომელმაც უარყო ქრისტე, კერპთმსახურებას შეუდგა და ქრისტიანების დიდი დევნა დაიწყო. იულიანე ქრისტიანებს იმდენად აშკარად არ დევნიდა, რამდენადაც ფარულად - იგი ვერ ბედავდა უკლებლივ ყველა ქრისტიანის სასტიკად წამებას, რადგანაც ეშინოდა, ქრისტიანების მოთმინების მაგალითზე ბევრი წარმართი თვითონაც ქრისტეს სჯულზე არ მოქცეულიყო. ამიტომ ამ უსჯულო მეფემ განიზრახა ფარულად შეებილწა ქრისტიანები: მან



იცოდა, რომ დიდმარხვის პირველ კვირას მორწმუნენი მარხვას განსაკუთრებით წმინდად ინახავენ და ცოდვებს ინანიებენ, იხმო ქალაქის თავი და უბრძანა, მთელი კვირის მანძილზე ყოველდღე შეებღალა ბაზარში გასაყიდი სანოვაგე სამსხვერპლო ცხოველების სისხლით (ნაკერპავის ჭამა ქრისტიანებს ეკრძალებათ).

მეფის ბრძანება შესრულდა და ყველა ბაზარში უსჯულოთაგან წაბილწული სანოვაგე იყიდებოდა. მაგრამ ყოვლისმხედველმა უფალმა შეარცხვინა წარმართნი და იზრუნა თავის ჭეშმარიტ შვილთათვის: კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოს ევდოქსის მან მიუვლინა თავისი მოწამე თეოდორე, რომელიც მრავალი წლის წინ ეწამა ქრისტესთვის და ახლა დიდებით განისვენებდა ზეცათა სასუფეველში. წმ. თეოდორე ეჩვენა ევდოქსის არა სიზმარში, არამედ ცხადად, და უთხრა:

- ახლავე შეკრიბე ქრისტეს სამწყსო და უბრძანე ყველა მართლმადიდებელს, არავინ იყიდოს ბაზრებში სანოვაგე, რადგანაც იქ უსჯულო მეფის ბრძანებით ყველაფერი სამსხვერპლო ცხოველების სისხლით არის წაბილწული!

გაოცებულმა მთავარეპისკოპოსმა ჰკითხა, რა ქნას ღარიბმა ხალხმა, ვისაც სახლში მარაგი არ გააჩნიაო. წმინდანმა მიუგო:

- მიეცი მათ კოლიო და იხსენი ამ გაჭირვებისაგან!

ევდოქსიმ არ იცოდა რა იყო კოლიო და გაკვირვებული შეჰყურებდა წმინდანს.

მაშინ წმ. თეოდორემ უთხრა:

- კოლიო არის თაფლთან ერთად მოხარშული ხორბალი - ასე ეწოდება ამ კერძს ევქაიტში.

ეპისკოპოსმა ჰკითხა:

- ვინ ხარ შენ და რატომ ზრუნავ ასე მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის?

წმინდანმა მიუგო:

- მე ვარ ქრისტეს მოწამე თეოდორე და ღმერთმა მომავლინა თქვენს შემწედ.

ასე თქვა წმინდანმა და თვალს მიეფარა. ევდოქსიმ მყისვე შეკრიბა ყველა ქრისტიანი და უამბო მათ რაც ნახა და მოისმინა, მერე კი კოლიო მოამზადა და მტრის მზაკვრობისგან იხსნა სამწყსო. როდესაც უსჯულო მეფე მიხვდა - ჩემმა ხერხმა არ გასჭრაო, შერცხვა და ბრძანა ბაზარში კვლავ წაუბილწავი სანოვაგე მიეტანათ. ქრისტიანებმა კი მადლობა შესწირეს ღმერთს მისი გამოუთქმელი წყალობისათვის და ქება შეასხეს დიდმოწამეს, წმ. თეოდორეს.



დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს წმ. თეოდორეს ხსენება იდღესასწაულეს და მის პატივსაცემად აკურთხეს კოლიო მორწმუნეთათვის. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ეკლესია დიდ მარხვის პირველ შაბათს მთავარეპისკოპოს ევდოქსის დროს მომხდარი სასწაულის სახსენებლად აკურთხებს კოლიოს და ადიდებს წმ. თეოდორეს, რათა ქრისტიანებს მუდამ ახსოვდეთ ღმერთის მოწყალე განგება თავის მონებზე და წმ. დიდმოწამე თეოდორეს შეწევნა.

ქართველი გაბრიელ ბერი (ერისკაცობაში გოდერძი ურგებაძე) დაიბადა თბილისში, თეთრიწყაროს ქუჩის №11-ში, 1929 წლის 26 აგვისტოს.

უდიდესი ასკეტის და სალოსი მამის ღვაწლის აღწერა შეუძლებელია.

ის პირველია ვინც, საბჭოთა ხელისუფლების დროს ბერად აღიკვეცა /1955წ./. სიმართლისათვის დევნილმა თავისი ბერობის 40 წლის მანძილზე 15 წელი იმათხოვრა, 25 წელი სასაფლაოებზე იცხოვრა, გამოსცადა ციხე და საგიჟეთი.

1965 წლის პირველ მაისს მოახდინა უპრეცენდენტო შემთხვევა - კომუნისტთა საზეიმო აღლუმის დროს მათ თვალწინ დაწვა მინისტრთა საბჭოს შენობაზე აღმართული ლენინის 12 მეტრიანი სურათი და საქვეყნოდ განაცხადა: "დიდება დიდ უფალ იესო ქრისტეს და არა ამ ძაღლ და სატანა ლენინს!" მოუწოდა ხალხს ღვთისაკენ. ხელისუფლებამ ვერ ესროლა, რადგანაც თავად გაგიჟებული ხალხი მივარდა მას, 17 მოტეხილობით და დამტვრეული თავის ქალით მამა გაბრიელი ადგილიდან წაიღეს, როგორც გვამი.

ათეისტურ წყობაში, ეკლესია-მონასტრების ნგრევის ჟამს, როცა პირჯვრის გადაწერისაც კი ეშინოდათ, მამა გაბრიელმა, ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებში, ღვთის სადიდებლად, თავის ეზოში ოთხგუმბათიანი ეკლესია ააშენა, რისთვისაც მრავალი დევნა აიტანა.

სიცოცხლის ბოლო წლები იცხოვრა მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში. ბოლოს, წყალმანკით დაავადებულს, გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება.

არქიმანდრიტი გაბრიელი გარდაიცვალა 1995 წლის 2 ნოემბერს. დაიკრძალა მცხეთის სამთავროს - დედათა მონასტერში.

შედგენილია გამოცემა: "ღვთაებრივი სასწაულები და კურნებები," სადაც მამა გაბრიელის შეწევნით კურნების მრავალი ფაქტია დაფიქსირებული. ღვთისაგან მინიჭებული მადლით მამა გაბრიელი დღესაც ცოდვილთა და უძლურთა სიყვარულით მიმღები და მანუგეშებელია.

ღოცვა მთებს ღაძრავს ...



ბერი ევაბიელის ბრძოლები ქართველ ერს:

საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს.

ქართველ ეს მიცემული აქვს სიყვარულის ტალანტი და თუ არ გამოიყენეს ეს ძალა, როგორც იოანე ნინასწარმეტყველი ჩაყლაპა ვეშაპმა, ისე მოუვა მას.

თქვენი ტალანტი ხმენაა, ამჰავლეთ და უთხარით სხვებსაც.

ბოლო ჟამია, თქვენ ანტიქრისტეს მოესწრებით, იგი ჯარებზე კი არ აკაკუნებს, არამედ შემოგლეჯას ლამობს.

ცალ-ცალკე ნუ ივლით, ერთად იარეთ, რომ ბოროტმა არ გადაგჩეხოთ. ღოცვა მთებს ღაძრავს.

მოულოდნელი თუ აუხსნელი?

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი,,. საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

გილოცავთ

მეგობრები: ნუნუ ქავთარაძე, ნანი ღვინიაშვილი, დალი ხაჩიძე, საიუბილეო დაბადების დღეს ულოცავენ თინათინ აბდუშელიშვილს.

ძვირფასო თინა, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერ მომავალს საყვარელ ოჯახთან ერთად.

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" ჯასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ელექტროშემდუღებლის სტაჟიორი;
2. აირმჭრელის სტაჟიორი;
3. საბაგირო ხაზის ზეინკლის სტაჟიორი;
4. წისქვილების ოპერატორის სტაჟიორი;
5. თბომავლის ოპერატორის სტაჟიორი;
6. ინჟინერ-დამგეგმარებლის სტაჟიორი /განათლება უმაღლესი, ინჟინერ-მექანიკოსის ჯვალიფიკაცია/.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 7 მარტის ჩათვლითმისამართზე:

ქ. ჯასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge



,,ახალი გვნთიავლი,, იძიებს ყველაფერი ყოფილიყოს ადამიანურ ენაზე - ადამიანის შეყვარებული. თანამედროვე თანამოქალაქეებს - ადამიანები ჩვენს ადამიანებში! გამოგვიგზავნეთ ყველაფერი ადამიანური ადამიანური!

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი თანაუგრძნობს ნანა მერებაშვილს დედის ვალია დალაქიშვილის გარდაცვალების გამო.	კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს ნანა მერებაშვილს დედის ვალია დალაქიშვილის გარდაცვალების გამო.	გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა მერებაშვილს დედის ვალია დალაქიშვილის გარდაცვალების გამო.

გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ერისკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მოგრძანდით რედაქციაში! ან დაგვირეკეთ 22 25 76

გამოიწერეთ "ახალი გვნთიავლი" და გახალითა ჩვენი მეგობარი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76